



საერთო პირობების დანართ N23 - ანგარიშთა პაკეტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. შეიცვალოს **პუნქტი 15.** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15. SOLO ან Golden Lion (Golden Lion, Family Package Holder, Golden Lion Advanced) ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ფარგლებში **ბანკი** შესაძლებლობას აძლევს **კლიენტს** ისარგებლოს **მესამე პირის** გაწეული შემდეგი დამატებითი მომსახურებით და მასთან დაკავშირებული პირობებით:

2. დაემატოს **პუნქტი 15.1.4.** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.1.4. Visa კონსიერჟის მომსახურებას **კლიენტს** გაუწევს **მესამე პირი** (VISA - საერთაშორისო საბარათე სქემა ან/და მისი ქვეკონტრაქტორი **მესამე პირი**), ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფს მხოლოდ Visa კონსიერჟის მომსახურების საფასურის გადახდას/ანაზღაურებას. Visa კონსიერჟის მომსახურებების დამატებითი პირობები და **მესამე პირის** მიერ გასაწევი მომსახურების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია Visa-ს ვებ-გვერდზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **მესამე პირის** მიერ გაწეულ Visa კონსიერჟის მომსახურებაზე ან/და ამ მომსახურების ფარგლებში შეძენილ ნებისმიერ მომსახურების/პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებელია შესაბამისი მომსახურების გამწევი/პროდუქტის მიმწოდებელი **მესამე პირი** (VISA - საერთაშორისო საბარათე სქემა ან/და მისი ქვეკონტრაქტორი **მესამე პირი**). შესაბამისად, **კლიენტმა** ნებისმიერი პრეტენზია (არსებობის შემთხვევაში) უნდა წარუდგინოს მომსახურების გამწევი/პროდუქტის მიმწოდებელ **მესამე პირს**.

3. შეიცვალოს **პუნქტი 15.2.** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.2. **SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტი** (მათ შორის, American Express Platinum Card-ის მფლობელი) უფლებამოსილია ისარგებლოს კონსიერჟის/პირადი ასისტენტის მომსახურებით, რომელსაც **კლიენტს** გაუწევს **მესამე პირი**, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფს აღნიშნული მომსახურების საფასურის გადახდას/ანაზღაურებას. კონსიერჟის/პირადი ასისტენტის მომსახურებების დამატებითი პირობები და **მესამე პირის** მიერ გასაწევი მომსახურების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია www.solo.ge. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **მესამე პირის** მიერ გაწეულ SOLO კონსიერჟის/პირადი ასისტენტის მომსახურებაზე ან/და ამ მომსახურების ფარგლებში შეძენილ ნებისმიერ მომსახურების/პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებელია შესაბამისი მომსახურების გამწევი/პროდუქტის მიმწოდებელი. შესაბამისად, **კლიენტმა** ნებისმიერი პრეტენზია (არსებობის შემთხვევაში) უნდა წარუდგინოს მომსახურების გამწევი/პროდუქტის მიმწოდებელ **მესამე პირს**.